პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 იანვარი, კვირა, 1986 წ.
№ 3 (9094) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პრობლემები ძველი და ახალი

რამდენიმე დღის წინ გავაცილეთ ძველი და შევეგებეთ ახალ წელს. ჭეშმარიტად ღირსსახსოვარი იყო შარშანდელი წელიწადი. ქართული სპორტის მემატიანეც თვალსაჩინო ადგილს მიუჩენს მას ჩვენი ხალხის ისტორიაში. რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენებმა გასულ წელს 474 მედალი მოიპოვეს სხვადასხვა მაღალი რანგის შეჯიბრებებში. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. წლის 10 საუკეთესო სპორტსმენის გამოვლენაც ჟურნალისტებს ისე გაუჭირდათ, როგორც არასდროს. ვინც კონკურენციას ვერ გაუძლო და ათეულის მიღმა დარჩა სხვა დროს ალბათ უძლიერესთა ათეულშიც ღირსეულად დაიმკვიდრებდა ადგილს.

ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში გასულ წელს უმნიშვნელოვანესი ძვრები მოხდა. სასიკეთო გარდაქმნებს სადირექტივო ორგანოების ცნობილმა დადგენილებებმა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების გადაწყვეტილებებმა მისცა სტიმული. შარშანვე ჩაეყარა საფუძველი რამდენიმე მსხვილი სპორტული ობიექტის მშენებლობას, მკაფიოდ გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები სპორტული რეზერვების აღზრდაში, სამაგალითოდ გამოდგება თუნდაც კალათბურთი და კრივი, სადაც იქმნება ნიჭიერ სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატების მწყობრი სისტემა, დაწინაურდა თანამედროვე ხუთჭიდი, ცხენოსნობა, კვლავ დიდ იმედებს გვისახავს ქალთა ჭადრაკი, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, აღარაფერს ვამბობთ ჭიდაობის სახეობებზე.

და მაინც, განვლილი წლის შედეგებით ყველაფერში ვერ ვიქნებით კმაყოფილნი. სპორტის სათამაშო სახეობებში წარუმატებლობის ფონზე, როგორღაც ელფერი დააკლდა გასული წლის სპორტულ მონაგარს. ვერც მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციით მოვიწონებთ თავს. გასულ წელსაც ვერ შევძელით სრული დატვირთვით აგვემოქმედებინა სპორტული ბაზები, ვერ მივაღწიეთ იმას, რომ სრულად გამოვიყენოთ კულტურულ-სპორტული კომპლექსების შესაძლებლობები. ამ საქმეში არ იგრძნობოდა ნოვატორული ძიება, აქ თავი ვერ დავაღწიეთ დუბლირებას, ვერ შევცვალეთ საქმიანობის შინაარსი. ყოველივე ამას ახლა ახალი წლის პირველსავე დღეებში შემთხვევით როდი ვიხსენიებთ. ფიზკულტურისა და სპორტის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, რაც ხაზგასმულია პარტიულ დოკუმენტებში გვავალდებულებს მასობრივად ჩავაბათ მოსახლეობის ფართო ფენები მათთვის ხელმისაწვდომ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპორტულ ბაზებზე მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. გვაკლია სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტები.

დიდი და მასობრივი სპორტი განუყოფელია. დევიზი: „მასობრიობიდან ოსტატობისკენ“ არასდროს დაძველდება, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია დიდ სპორტს, ჩვენ ცნობილ სპორტსმენებს მასობრივი მოძრაობის საკეთილდღეოდ. წელს განსაკუთრებული მომთხოვნელობა და პრინციპულობა გვმართებს, რათა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული კლუბები, რომლებიც ცნობილ სპორტსმენთა სახელს ატარებენ, ნორჩების აღზრდის ნამდვილ კერებად ვაქციოთ და კლუბის პრესტიჟულობა თვით ცნობილ სპორტსმენთა მიერ გაწეული ღვაწლით განისაზღვროს. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ბავშვებთან საშეფო მუშაობა, აქაც ბევრია ფორმალიზმი, სამწუხაროდ ფორმალიზმისა და მოჩვენებითი პრესტიჟულობისგან არც სპორტული ფედერაციების მუშაობაა დაზღვეული. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს, რომ შრომით კოლექტივებში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვის შედეგად ავამაღლოთ შრომისნაყოფიერება, მინიმუმამდე შევამციროთ ავადმყოფობის გამო სამუშაოს გაცდენის შემთხვევები. ამ საკითხებს, კონკრეტული ფაქტების გაანალიზებით ჩვენი გაზეთი სულ მალე გამოიტანს ფართო მკითხველის სამსჯავროზე.

დაიწყო ახალი წელი და უკვე კარსაა მომდგარი პირველი დიდი საპასუხისმგებლო შეჯიბრება — ზამთრის სპარტაკიადა, ჯერ რესპუბლიკური, შემდეგ საკავშირო. დიდი დრო არც საზაფხულო სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობებამდე რჩება. წლევანდელი სპორტული კალენდარი აღსავსეა უმნიშვნელოვანესი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებით, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო იქნება „კეთილი ნების თამაშები“, რომელიც მოსკოვში გაიმართება. ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ბარაქიანი მონაგარით შეეგება ახალ წელს. მიღწეული მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი გზისა, რომელიც ახალი სიმაღლეებისკენ მიემართება. ეს გზა კი თავდადებული და მუხლჩაუხრელი შრომით უნდა გავიკვლიოთ.

წარმატება ესპანეთში

1985 წლის მიწურულს ანდალუზიის (ესპანეთი) ულამაზეს ქალაქ სევილიაში ჩატარდა ტრადიციული, XIV საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი.

ფესტივალის მთავარ შეჯიბრებაში 20 ქვეყნის 110 მოჭადრაკე მონაწილეობდა. შეჯიბრება ჩატარდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად, დროის ახალი, 6-საათიანი კონტროლით.

ჩინებულად ითამაშა თბილისელმა დიდოსტატმა თამაზ გიორგაძემ. მან 7 ქულით I-II ადგილები გაიყო კოლუმბიელ დიდოსტატ გილდარდო გარსიასთან ერთად.

ტურნირში მონაწილეობდა აგრეთვე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე დიდოსტატი პია კრამლინგი (შვეცია), რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა.

რუბრიკის პრემიერა:

ფოტომატიანე

სპორტი მხოლოდ სანახაობა როდია. იგი ადამიანის ნებისყოფის, ხასიათის სიმტკიცის ერთგვარი გამოცდაც გახლავთ. იგი დიდად უწყობს ხელს პიროვნების ფორმირებას. შეიძლება ითქვას, ერის ფიზიკური და სულიერი სიმდიდრეა და ამდენად მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. სპორტი ადამიანის მოღვაწეობის ის სფეროა, რომელსაც თავისი მემატიანე უნდა ჰყავდეს, ასეთი მემატიანე გახლავთ ფოტორეპორტიორი. მისი ვალია ფირზე აღბეჭდოს და შთამომავლობას შემოუნახოს ყველაფერი, რაც ხალხს ასე იტაცებს და აღელვებს. დღეს გთავაზობთ ახალ რუბრიკას: „ფოტომატიანე“. ამ რუბრიკის ქვეშ დავბეჭდავთ სხვადასხვა ავტორების ნამუშევრებს იმ მიზნით, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას ჩვენი სპორტის წარსულზე...



ქართული სპორტის ვეტერანთა ერთი ჯგუფი თბილისის „დინამოს“ ძველ სტადიონზე. წინა პლანზე — მარცხნიდან: გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი ჩიკვაიძე, ნინო დუმბაძე, შალვა ჩიხლაძე, ელენე გოკიელი...

არდადეგების დღეებში

ზამთრის არდადეგების დღეებში 26 კომისრის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლამ ფართოდ გაუღო კარი მოსწავლეებს. აქ გამართულ შეჯიბრებებში რაიონის ყველა სკოლის 1500-მდე მოსწავლე მონაწილეობს. მოზარდები ერთმანეთს ეჯიბრებიან კალათბურთში, ფრენბურთში, ბადმინტონში, მაგიდის ჩოგბურთში და ჭადრაკში.

20 წელზე მეტია რაც ეს სპორტსკოლა არსებობს და ამ ხნის მანძილზე მსგავს შეჯიბრებებს ყოველთვის გულთბილად მასპინძლობს. აქ ჩატარებული ყოველი შეჯიბრება საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით და ორგანიზებულობით გამოირჩევა. ამიტომაა, რომ ქალაქის სპორტის მესვეურები ყოველთვის ქებით იხსენიებენ მის თანამშრომლებს.

საარდადეგებო სპორტული ღონისძიება სამ იანვარს დაიწყო და ათ იანვრამდე გასტანს.

ინფორმაცია

15 იანვარს განახლდება პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება ექვსმა კოლექტივმა (პენზის „სპარტაკი“, ტარტუს უსკა („კალევი“), მოსკოვის „დინამო“, ლენინგრადის „ვოლნა“, კაუნასის „ბანგა“ და თბილისის სპი) მოიპოვა.

ორი წრის შემდეგ პირველ ქვეჯგუფში, სადაც თბილისელი კალათბურთელები ასპარეზობდნენ ასეთი მდგომარეობა იყო: 1. „ბანგა“ (კაუნასი) — 19 ქულა (10 თამაშიდან), 2. სპი (თბილისი) — 17, 3. „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — 16, 4. „ლოკომოტივი“ (როსტოვი) — 14, 5. სკიფ (ტაშკენტი) — 13, 6. „სპარტაკი“ (უფა) — 11.

II ქვეჯგუფი. 1. „სპარტაკი“ (პენზა) — 19, 2. „ვოლნა“ (ლენინგრადი) — 15, 3. „სტროიტელი“ (ფრუნზე) — 15, 4. „სპარტაკი“ (სიმფეროპოლი) — 15, 5. „სტალი“ (დნეპროპეტროვსკი) — 13, 6. „ინჟდორსტროი“ (კიშინიოვი) — 13.

III ჯგუფი. 1. უსკა (ტარტუ) — 19, 2. „დინამო“ (მოსკოვი) — 17, 3. კუაი (კუიბიშევი) — 17, 4. „დინამო“ — II (კიევი) — 13, 5. „სპარტაკი“ (ესენტუკი) — 13, 6. „არაზი“ (ბაქო) — 11.

მშრომელთა და მათი ოჯახების აქტიური გართობა-დასვენება, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების ორგანიზაცია ყველა შრომითი კოლექტივის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია

გორის რაიონის ხელმძღვანელთა ყურადღებას მივაპყრობთ მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლებას, სადაც მეურნეობის ხელმძღვანელები ამ სადირექტივო მოთხოვნას აშკარად უგულებელყოფენ.

იხ. მე-2 გვ.

წერილმა გზად გვიხმო

უფრთებოდ...

ანუ იმის შესახებ, თუ როგორ გავერანდა მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლების შესანიშნავი სპორტული ბაზები და როგორ შეეკვეცა ფრთები ახალგაზრდობის ოცნებას.

საგანგაშო წერილი მივიღეთ რედაქციაში ახალი წლის წინ. უკვე ორ იანვარს გზას გავუდექით, დაყოვნება არ შეიძლებოდა. თუმცა წერილს რამდენიმე ავტორი აწერდა ხელს, მაინც არ ვიყავით დარწმუნებული, რომ ფაქტები გაზვიადებული არ იყო, რომ ახალგაზრდობის გულისტკივილი დღესაც კი, შეიძლება ასე უყურადღებოდ დარჩეს.

მეჯვრისხევი. ამ დიდი და შეძლებული სოფლის „სადარბაზო ბარათი“ მეფრინველეობის ფაბრიკაა. ჯერ ფაბრიკას, მის დასახლებას უნდა ჩაუარო, სოფელში რომ მოხვდე. ჩვენი გზაც აქ მთავრდება, აქაურმა ახალგაზრდობამ გამოგვიგზავნა საგანგაშო ბარათი. უჩვეულო დასახლებაა ფაბრიკის დასახლება. უჩვეულოა პირველ ყოვლისა საცხოვრებელი ბინებით. კარგა დიდ მანძილზე ფინური სახლების ტიპის, საცხოვრებლად მოსახერხებელი შენობებია ჩამწკრივებული. მივაბიჯებთ დასახლებაში და თვალებს არ ვუჯერებთ. მოუვლელი, ატალახებული ქუჩები; საიდანღაც შუა ქუჩაში წყალი მოედინება.

დასახლების ცენტრში, ეტყობა, ოდესღაც ჩინებული შადრევანი იყო და ალბათ სილამაზესაც მატებდა აქაურობას. ახლა „ცენტრი“ გაუქმებულია, ირგვლივ ანტისანიტარიაა, მოძველებულა შენობებიც, რაც უფრო შესაბრალისს ხდის იქაურობას. მალე მივადექით მთავარ ობიექტს, რომელსაც ახლა ყოფილი სპორტული კომპლექსი ჰქვია. ჯერ მოცელილმა კალათბურთის მასიურმა დგარებმა მიიპყრო ყურადღება, მერე ყველასგან მიტოვებულმა 25-მეტრიანმა საცურაო აუზმა თავისი საჭყუმპალოთი. აუზს შესანიშნავი ნაგებობა აქვს — ოთახებით, გასახდელებით, საშხაპეებით, შენობის კარებები საგულდაგულოდ ჩაუკეტიათ. იქვეა შესანიშნავი საჭიდაო სარბიელი, ოდნავ მოშორებით კი — გაველურებული ფეხბურთის მინდორი.

ახლა არც ერთი სპორტული ბაზა არ მუშაობს, ყველა უპატრონოდაა მიტოვებული და გავერანებულია. პირდაპირ გული მოგიკვდება კაცს — ამდენი შრომა გაუწევიათ, ამდენი სახსრები დაუხარჯავთ მშრომელთა და მათი ოჯახების საკეთილდღეოდ და ყველაფერი ეს უდაბნოდ ქცეულა.

— ეს აუზები ოდესმე მუშაობდა? — ვკითხეთ იქვე თავმოყრილ ბავშვებს.

— ადრე მუშაობდა. მერე მეურნეობიდან სანტექნიკოსები მოიყვანეს და მილები ჩაჭრეს, რომ აუზი წყლით არ ავსებულიყო. მოდით, გაჩვენებთ!

და გვაჩვენეს, გვაჩვენეს ჰა, ურდული, ჰასთან მიერთებული ჩაჭრილი მილი.

კიდევ ერთხელ მოვავლეთ თვალი წაქცეულ და დამტვრეულ კალათბურთის დგარებს, მოუვლელ საჭიდაო სარბიელს, ფეხბურთის მინდორს, აუზებს და... მერე გაკვირვებით გადავხედეთ ერთმანეთს. ყველაფერი ეს დაუჯერებელი გეგონება კაცს, მაგრამ ფაქტს სად წაუხვალ?

მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. რატომ ხდება, რომ კოლექტივში მოდის ახალი ხელმძღვანელი და ალმაცერად უყურებს თავისი წინამორბედის ნალვაწს; რატომ აპატიებენ ხოლმე ასეთ ხელმძღვანელს სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების უგულებელყოფას?

სპორტული ბაზები ფაბრიკის დასახლებაში გაშენდა ყოფილი დირექტორის თამაზ ტუხიაშვილის ხელმძღვანელობით. ახალ დირექტორს გომერო ბერძნიშვილს პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია, რომ ეს ბაზები ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა. ხელმძღვანელის განწყობილება სხვა პასუხისმგებელ მუშაკებსაც გადაედო. უმოქმედოდ არიან პარტიული (ვლადიმერ მეყანწიშვილი), პროფკავშირული (გივი სოლოღაშვილი) და კომკავშირული (ელიზა რუსიტაშვილი) ორგანიზაციები. რაღა გასაკვირია, რომ ამ დუმილით შესანიშნავად სარგებლობს ფიზკულტურის მეთოდისტი ვახტანგ ფალელიშვილი.

— რისთვის იღებს ხელფასს მეთოდისტიო, სამართლიანად გვწერდნენ ახალგაზრდები, ეს შეკითხვა, სხვათა შორის, ბიჭებმა ადგილზეც გაგვიმეორეს.

— სპორტული ინვენტარი და ფორმები თუ შეიძინეთ? — ვკითხეთ ფაბრიკის მთავარ ბუღალტერს კარლო ცერაძეს.

— მე რამდენჯერმე შევახსენე მეთოდისტს, მაგრამ არ გაინძრა, ფული აუთვისებელი დაგვრჩა — გვიპასუხა მან.

ახლა ისღა დაგვრჩენია ვიკითხოთ: იციან თუ არა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურებმა, რა ხდება ფაბრიკაში. ცნობილია თუ არა რაიონის ხელმძღვანელებისთვის, რომ მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკაში არ სრულდება სადირექტივო ორგანოების დადგენილებები და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებები მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე? თუ იციან, რას მივაწეროთ ასეთი განუკითხაობა? ვიღაცამ ხომ უნდა აგოს პასუხი.

დასახლებაში ახალგაზრდები აღარ ჩერდებიანო, გვითხრეს მუშებმა. ესე იგი, ფაბრიკასაც აკლდება გამრჯე ახალგაზრდების ენერგია და შემართება. ამასაც ხომ უნდა დავუფიქრდეთ. ანდა რატომ უგულებელყოფენ ფიზკულტურისა და სპორტის ეკონომიკურ მნიშვნელობას? ვფიქრობთ არც ესაა უმნიშვნელო საკითხი.

წერილი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, რედაქციის კონტროლზეა. ვიმედოვნებთ, მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლების მცხოვრებნი სულ მალე იგრძნობენ, რომ მათი გულისტკივილი უყურადღებოდ არ რჩება.

„ლელოს“ ბრიგადა.
მეჯვრისხევი,
გორის რაიონი.

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატი

რატომ ემსგავსება კალათბურთელთა რესპუბლიკური შეჯიბრება თბილისის პირველობას?

... ნოდარ ქორქია, პაატა გურასპაული, კონსტანტინე ჯორჯიკია, შალვა სინჯარაძე, ვლადიმერ ძიძიგური — აცხადებს მსაჯი-ინფორმატორი და დარბაზში შეკრებილი მაყურებელი ტაშით ხვდება საყვარელ კალათბურთელებს, ყოფილ დინამოელებს, რომლებიც ამჟამად ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმოო გაერთიანების სპორტკლუბ „სინათლის“ ღირსებას იცავენ.

„სინათლე“ რესპუბლიკის 1985 წლის ჩემპიონატის ბოლო მატჩში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს ხვდებოდა.

ამ მატჩამდე ორივე გუნდს ქულათა მაქსიმუმი ჰქონდა დაგროვილი. „სინათლემ“ თავის ქვეჯგუფში სძლია რუსთავის, ქუთაისისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებს, ხოლო სპი-მ აფხაზეთის, აჭარისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებს მოუგო. ფინალურ ტურნირში „სინათლემ“ 12 ქულით აჯობა უნივერსიტეტელებს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს კი მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. შეხვედრის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მეხუთე პერსონალური შენიშვნა მიიღო და მოედანი დატოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის კიდევ ერთმა წევრმა — ფიზკულტურელებმა ოთხი მოთამაშით განაგრძეს მატჩი. მიზეზი კი აი, რა იყო: ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის პირველკურსელებმა მალხაზ არაბულმა და მამუკა კოჭლამაზიშვილმა არად ჩააგდეს რესპუბლიკის პირველობა, საკუთარი გუნდის, ინსტიტუტის, მეგობრების ინტერესები და თამაშზე არ გამოცხადდნენ (სხვათა შორის, ისინი არც ასპარეზობის ბოლო დღეს მოვიდნენ შეჯიბრებაზე და ამის შესახებ წინასწარ არაფერი აცნობეს გუნდისა, და სასწავლებლის ხელმძღვანელებს). ოთხი კალათბურთელის იმედად დარჩენილმა კოლექტივმა ვერაფერი გააწყო ძლიერ მეტოქესთან და ერთი ქულით დათმო შეხვედრა — 82:83. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა ბოლო შეხვედრაშიც ვერ მოუყარა თავი უძლიერეს შემადგენლობას და უნივერსიტეტელებთან მესამე ადგილისათვის ბრძოლაში დამარცხდა.

უძლიერესის სახელისთვის გამართულ მატჩში კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთმანეთის პირისპირ დადგნენ „სინათლე“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები. მატჩის მიწურულს თავისი გაიტანა გამოცდილებამ — თამაში „სინათლემ“ მოიგო — 100 : 88. რესპუბლიკის ჩემპიონი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ნოდარ ქორქია, შალვა სინჯარაძე, პაატა გურასპაული, კონსტანტინე ჯორჯიკია, ვლადიმერ ძიძიგური, გიგა ჩაჩანიძე, ზაზა ღონღაძე, სოსო მუკასაშვილი, რეზო ჩაჩხიანი, მწვრთნელი — ზურაბ ლეონტიევი.

დამარცხების მიუხედავად, მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდულმა გუნდმაც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დავით გიორგობიანის, რევაზ შავლოხოვისა და გია სანაძის თამაში. სანაძემ „სინათლესთან“ შეხვედრაში 44 ქულა მოუტანა თავის გუნდს.

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ვაჟთა ტურნირის პარალელურად ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთელ ქალთა შორისაც. მთავარ ფავორიტად აქაც შარშანდელი ჩემპიონი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი მიაჩნდათ. მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მარინე ნიკოლაიშვილი, თამარ ბუილლიშვილი, მაია ნიკოლაიშვილი, ნინო კურტანიძე, ნინო სირაძე, ნინა სტრუეკინა, მარინა ნოვიკოვა, ოლღა კორკოტაძე, მანანა მაისურაძე, ინგა ჩუხრუკიძე, ეკა ხორბალაძე, თამარ ლორთქიფანიძე, მწვრთნელი — გარი არუთინოვი. ამ გუნდს მართლაც ვერავინ გაუწია ღირსეული წინააღმდეგობა. არც არის გასაკვირი — პოლიტექნიკოსთა გუნდის თითქმის ყველა კალათბურთელი „ბურევესტნიკის“ წევრია, ეს უკანასკნელი კი, როგორც ვიცით, წარმატებით გამოდის საბჭოთა კავშირის პირველობის პირველ ლიგაში და 15 იანვრიდან კაუნასში ქვეყნის ხუთ სხვა კოლექტივთან ერთად უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოლებს. ამიტომ გუნდისთვის ეს ჩემპიონატი ერთგვარი რეპეტიციაც გამოდგა. გადამწყვეტ მატჩში სპი-მ უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხა — 89:68.

ბრინჯაოს მედლებისთვის ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის განათლების სამმართველოსა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელები. გაიმარჯვეს ნორჩმა კალათბურთელებმა (1967-1970 წლებში დაბადებულნი) 59 : 56.

რაც შეეხება ასპარეზობის მონაწილე სხვა გუნდებს (როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ტურნირებში), უნდა ითქვას, რომ ისინი ულიმღამოდ გამოვიდნენ. არადა, არა მგონია, აფხაზეთს, აჭარას, ქუთაისსა და რუსთავს იმდენი შესაძლებლობა არ ჰქონდეთ, რომ ღირსეულად იბრძოლონ საპრიზო ადგილებისთვის. ჯერჯერობით კი, სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონატები დედაქალაქის პირველობას უფრო ჰგავს.

ვაჟა დანელია.

სურათებზე: 1985 წლის ჩემპიონები — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდი და „სინათლე“.

ავტორის ფოტოები.

გამოხმაურება წერილზე „მივლინებაში ველოსიპედით“

პატივცემულო რედაქცია!

18 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი „მივლინებაში ველოსიპედით“, რომელშიც ლაპარაკი იყო ველოტურიზმის ენთუზიასტ თედო ნიკოლაიშვილზე, უაღრესად აქტუალურ საკითხს ეძღვნება. დიახ, დროა ველოტურიზმს და საერთოდ ველოსიპედს, როგორც მიმოსვლის საუკეთესო საშუალებას ფართო გასაქანი მიეცეს. მით უმეტეს, რომ ტრანსპორტის სიჭარბემ უკვე თავისებური დაღი დაასვა ქალაქს, როგორც ეკოლოგიური, ისე მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით. გახშირდა გულ-სისხლძარღვთა და ჰიპერტონიული დაავადებები.

ადამიანს თანდათან უჭირს ფეხი აუწყოს ცხოვრების სწრაფ რიტმს. სხვა გზა არაა, გამოსავალს ჩვენ თვითონ უნდა მივაგნოთ. უნდა ვეცადოთ თუნდაც მინიმალურად დავიტვირთოთ ფიზიკურად. ჩემის აზრით, ამაში დაგვეხმარება ფიზიკური ვარჯიში, აქტიური დასვენება და სატრანსპორტო მიმოსვლის ისეთი უნიკალური საშუალება, როგორიცაა ველოსიპედი. ცოტა დროს ვკარგავთ საზოგადოებრივი და თუნდაც კერძო ტრანსპორტით სარგებლობისას? განსაკუთრებით „პიკის“ საათებში. ყველას გვანერვიულებს ავტობუსის განუსაზღვრელი დროით ლოდინი, შემდეგ ბრძოლა მასში მოსახვედრად, შეჩერებული მანქანების მწკრივი... ასეთი ნერვიულობის შემდეგ, ცხადია, სამსახურში იმდენს ვერ ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია. ველოსიპედით მგზავრობა კი გარდა იმისა, რომ ჯანმრთელობას გაგვიუმჯობესებს და ემოციურად განგვტვირთავს, ქალაქში მოძრაობის უსაფრთხოებასაც გაზრდის და ქუჩებში ხმაურსაც შეამცირებს.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ველოსიპედს ყველგან „მწვანე შუქი“ ჰქონდეს? ჩემი აზრით, ახალი გზების მშენებლობისას ველოსიპედისტებისათვის სპეციალური ბილიკები უნდა გამოიყოს, ყოველ მსხვილ ორგანიზაციასთან და დაწესებულებასთან კი ველოსიპედების სპეციალური სადგომები მოეწყოს. აქ სპორტულ ორგანიზაციებსაც მართებთ თავიანთი ავტორიტეტული სიტყვის თქმა. სწორედ მათი ინიციატივით უნდა შეიქმნას ველომოყვარულთა ჯგუფები. ასეთ ჯგუფებს კი სათავეში უნდა ჩაუდგნენ კვალიფიციური მწვრთნელები და მედიცინის მუშაკები. სავაჭრო ქსელშიც მეტი რაოდენობით უნდა შემოიზიდოს მაღალი ხარისხის ტურისტული და სპორტული ველოსიპედები. საერთოდ ამ საქმეში შეიძლება ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოცდილება გავიზიაროთ.

მართალია, ველოსიპედზე გადასვლა ასე ხელის ერთი დაკვრით ვერ მოხერხდება, მაგრამ მიუღწეველი არაფერია, მით უმეტეს, რომ საქმე ადამიანის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას ეხება.

მამუკა გომართელი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი.

მოკლედ

ვანი. ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მოსწავლეთა სარაიონო პირველობა კროსში.

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა ისრითის საშუალო სკოლის ნაკრებმა. მეორე ადგილი წილად ხვდა ქალაქის №2 საშუალო სკოლის გუნდს, მესამე ადგილი თანაბარი ქულებით გაიყვეს ქალაქის №1 და ბზვანის საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა.

რვაწლიანი სკოლის წარმომადგენელთა შორის კარგად იასპარეზეს დიხაშხოს, მიქელეფონის და ინაშაურის რვაწლიანი სკოლების მოსწავლეებმა, რომლებმაც შესაბამისად I, II და III ადგილები დაიკავეს.

მურთაზ პირველაშვილი
(„ლელოს“ კორ.)

„მერანი" №1

გამოვიდა „ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანის" საახალწლო ნომერი.

გაზეთი მკითხველებს ულოცავს ახალ, 1986 წელს და ამცნობს ახალ ამბებს — ქეთევან არახამიას გამარჯვებას 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაში, მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ახალ რეიტინგებს და ა. შ. აქვე გვთავაზობს საუბარს საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგესთან გიორგი გაჩეჩილაძესთან და საჭადრაკო კომპოზიტორის რევაზ თავარიანის საახალწლოდ შეთხზულ ეტიუდს.

ნომერში დაბეჭდილია წერილები: ქეთევან არახამიას „ბედნიერი წელიწადი", იაკობ ლაპიდუსის „ორი ჩემპიონი" (საქართველოს ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის შედეგებზე), გივი გამრეკელის „სტეინიცის ღირსეული მეტოქე" და გურამ აბულაძის საჭადრაკო მოთხრობა „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა..." (ლეგენდა ანდრია დადიანზე).

კომპოზიციის მოყვარულნი ინტერესით გაეცნობიან რუსთავის სახალხო განათლების განყოფილების მიერ ჩატარებული საკავშირო საჭადრაკო კონკურსის შედეგებს. „მერანი" ბეჭდავს ჟიურის მიერ დაჯილდოებულ ყველა ამოცანას და ეტიუდს.

გილოცავთ ახალ წელს!

მერანი

ქეთევან არახამია –

აქვეა საინტერესო მასალები რუბრიკებით „საჭადრაკო მერიდიანებზე", „ჩვენი ცნობათა ბიურო", „ეს საინტერესოა", „იუმორი".

თეორიული კონფერენცია

ამას წინათ ზუგდიდის 103-ე საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში პარტიის ზუგდიდის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის" რაიონული ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა".

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები.

ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების პრობლემებზე ისაუბრა პროფესორმა ა. ციბაძემ.

მოხსენებით — „მოსწავლეთა ფიზკულტურული აღზრდის სადღეისო პრობლემები" — გამოვიდა დოცენტი შ. ბუაძე.

„ფეხბურთი-85" — ასეთი იყო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკის რ. ვაწაძის საუბრის თემა.

ვალერიან ჯღამაია.

ფოტომატიანე

ის, რაც არქივმა შემოგვინახა...

წარსულის სიყვარული დღევანდელი დღის სიყვარულსაც ნიშნავს. მიხეილ ზარგარიანი „ლელოს" რედაქციაში 50-იანი წლების დასაწყისში მოვიდა და მას შემდეგ, სამი ათეული წლის მანძილზე კეთილსინდისიერად ემსახურა ქართულ სპორტს.

50-იანი წლების დასაწყისი! ეს იყო დრო, როცა ქართველ სპორტსმენთა დიდ გამარჯვებებს საფუძველი ეყრებოდა, როცა საერთაშორისო სარბიელზე პირველად გაისმა ქართველ ფალავანთა და კალათბურთელთა, ტანმოვარჯიშეთა და მძლეოსანთა, ფეხბურთელთა და ძალოსანთა... სახელები.

სამი ათეული წლის მანძილზე მიხეილ ზარგარიანმა უმდიდრესი ფოტოარქივი შექმნა. მან ფირზე აღბეჭდა და შთამომავლობას შემოუნახა ჩვენი სპორტსმენების პირველი სიხარული და პირველი გამარჯვებები. იგი ბევრს მოგზაურობდა ჩვენი ქვეყნის ქალაქებში, საზღვარგარეთ, იყო რამდენიმე ოლიმპიადის, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის, საერთაშორისო ტურნირებისა და ჩემპიონატების დამსწრე.

ფოტორეპორტიორი დროისა და მოვლენების ყველაზე ობიექტური აღმნუსხველია, ამიტომ მის არქივს ისტორიულ-დოკუმენტური მნიშვნელობაც აქვს.

„ლელოს" რედაქციამ, საქართველოს სპორტკომიტეტის აქტიური მხარდაჭერითა და უშუალო დახმარებით ახალი წლის წინა დღეებში შეიძინა ეს არქივი. ათეულ ათასობით უნიკალურ ნეგატივს, ცხადია, დახარისხება, სისტემატიზაცია და დასათაურება სჭირდება, რაც დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. რედაქციის თანამშრომლები უკვე შეუდგნენ ამ შრომატევად საქმეს — არქივის დამუშავებას. ეს ფოტოსურათები, რომელთაც დღეს გთავაზობთ, 18 წლის წინ, მეხიკოშია გადაღებული, ოლიმპიური თამაშების დროს.

X X X

XIX ოლიმპიური თამაშების მონაწილენი ოლიმპიური სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ ამ შენობებში დაბინავეს.

მექსიკელი გვარდიელები XIX ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნაზე. ამ ქვემეხების ზალპმა ოლიმპიადის დაწყება აუწყა შეკრებილთ.

ეს ორი ფოტოსურათი ველოსიპედისტთა ოლიმპიური ტურნირის ერთ ინციდენტზე მოგვითხრობს. მეოთხედფინალურ რბოლაში ომარ ფხაკაძის მეტოქე იტალიელი დინო ვერზინი იყო. პირველ სერიაში ვერზინიმ წესი დაარღვია და ორივე მონაწილე დაეცა. მსაჯთა კოლეგიამ იტალიელ ველოსიპედისტს დამარცხება მიუსაჯა (ფხაკაძემ ეს რბოლა ანგარიშით 2 : 1 მოიგო და გავიდა ნახევარფინალში, სადაც მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს ფრანგ დანიელ მორელონს შეხვდა).

ველოსპორტის სპეციალისტები (მათ შორის ავთანდილ გუნია და როსტისლავ ვარგაშკინი) ფხაკაძესთან ერთად მომხდარი ინციდენტის დეტალებს აზუსტებენ.









დებიუტანტი

ზაზა ჯახველაძე

რივი

დაიბადა 1969 წელს თბილისში. წონა 54 კგ, სიმაღლე 174 სმ. სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წევრი. მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი [illegible] ხაჩატუროვი. თბილისის 48-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე. საქართველოს 1984 წლის ჩემპიონი ჭაბუკებში, მოსწავლეთა XXXIII რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონი, პეტროზავოდსკის საკავშირო ტურნირში გამარჯვებული, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრი.

თბილისელი სპორტსმენის ხუთი საპრიზო ადგილი

თბილისში, „ბურევესტნიკის" სპორტკომპლექსის საცურაო აუზში გაიმართა ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მოცურავეთა პირადი პირველობა, რომელშიც 1972-74 წლებში დაბადებული ნორჩები მონაწილეობდნენ. მასპინძლებმა სამი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე ადგილი დაიკავეს. ყველას მაინც 13 წლის ვლადისლავ სტეპანოვმა აჯობა, ვლადისლავმა საერთო ჯამში ხუთი საპრიზო ადგილი დაიკავა — 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში პირველი იყო (შესაბამისად 2.26,0 და 5.12,4). 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — მეორე (2.09,8), 100-მეტრიან დისტანციაზე კი — მესამე (59,4). [illegible] 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (4.40,2).

აღსანიშნავია, რომ ვლადისლავს მხოლოდ 400 მეტრზე კომპლექსურ და თავისუფალი სტილით ცურვაში არ მიუღწევია I თანრიგის შედეგისთვის.

სტეპანოვის თანაგუნდელმა, მისივე ტოლმა ანდრეი მჩუკინმა 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით საუკეთესოდ იასპარეზა (1.08,2), 200 მეტრზე კი მეორე შედეგი აჩვენა (2.34,3).

ჩვენი სპორტსმენებიდან საპრიზო ადგილი კიდევ ერთმა — 12 წლის ლილი ქუჯოშვილმა დაიკავა. იგი 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში ფინიშთან მესამე მიიჭრა (1.15,4).

ნები ამჯერად პირადი პირველობისთვის იბრძოდნენ, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი ზაირა ნათაძე) გუნდური პირველობის არაოფიციალური შედეგებიც გამოიანგარიშა. თორმეტ ნაკრებს შორის საუკეთესო მოსკოველთა I გუნდი აღმოჩნდა (336 ქულა). მეორე-მესამე ადგილები უკრაინელთა პირველი და მეორე გუნდების წარმომადგენლებმა დაიკავეს (შესაბამისად 237 და 148), მეოთხე იყო ლენინგრადის გუნდი (143,5), ხოლო მეხუთე — თბილისის კოლექტივი (133). ჩვენი მოცურავეებისათვის ეს ერთგვარი მიღწევაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ წარმატებაში, როგორც ვნახეთ, დიდი წვლილი მხოლოდ სამმა მო-

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

პირველი „რიგგარეშე" მატჩი

გუშინ მოსკოვსა და ვილნიუსში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომელშიც უმაღლესი ლიგის რვა უძლიერესი კლუბი მონაწილეობს. ერთი დღით ადრე, 3 იანვარს კი ასპარეზობაში მოსკოვის არმიელები ჩაებნენ (საქმე ისაა, რომ 7 იანვარს ცსკა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პროგრამით საფრანგეთის „სტად ფრანსეს" ეთამაშება და „გრაფიკის" ნაწილობრივი დარღვევა სწორედ ამან გამოიწვია).

მოსკოვის ჯგუფში ცსკა-ს გარდა დედაქალაქის „დინამო", კიევის „სტროიტელი" და რიგის ვეფი ასპარეზობენ. ვილნიუსში მეორე ოთხეული გამოდის: კაუნასის „ჟალგირისი", ადგილობრივი „სტატიბა", ლენინგრადის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო".

პირველ „რიგგარეშე" მატჩში ცსკა მოსკოვის „დინამოს" შეხვდა. გაიმარჯვეს არმიელმა კალათბურთელებმა — 105:97 (53:54). ეს იყო საკავშირო ჩემპიონატში ცსკა-ს მე-20 გამარჯვება, რომელსაც გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა დიდი ბრძოლის შემდეგ მიაღწია.

საქმე ის გახლავთ, რომ პირველ ნახევარში „დინამო" უფრო მობილიზებული და მიზანსწრაფული თამაშობდა, რაც სხვათა შორის ანგარიშსაც დაეტყო. ტაიმი დინამოელებმა ერთი ქულით მოიგეს. დაახლოებით 30-ე წუთისთვის სხვაობა 9 ქულამდე გაიზარდა. სწორედ ამ მომენტში ცსკა-მ შეძლო გარდატეხა შეეტანა თამაშში, რაც იმაში გვარწმუნებს, რომ გუნდის წევრები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი.

შეხვედრის დასკვნითი ნაწილი ცსკა-მ უკეთ ჩაატარა და გაიმარჯვა კიდეც. არმიელთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ტარაკანოვი იყო. მან გუნდს 23 ქულა შესძინა. დინამოელთაგან თავი ქიგილიიმ გამოიჩინა — 22 ქულა.

◆

მსოფლიო ჩემპიონატის ბურთი- „აცტეკა"



მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატები მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში, მისთვის საგანგებოდ ემზადებიან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, მონაწილე ქვეყნები, პრესა, ტელევიზია და, რა თქმა უნდა, მილიონობით ფეხბურთის მოყვარულნი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშებისთვის ამზადებენ მრავალგვარ სუვენირს, პლაკატებს, ბუკლეტებს, ბოლო ხანებში კი ტრადიციად დამკვიდრდა საგანგებო ბურთების დამზადება. კერძოდ, ასეთი „სპეცბურთებით" თამაშობდნენ ბოლო ორი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც: არგენტინაში — „ტანგოთი", ესპანეთში — „ტანგოესპანეთით".

ასეთი საგანგებოდ დამზადებული ბურთით ითამაშებენ მექსიკაშიც. ახალი ბურთი ფირმა „ადიდასის" ნაწარმია, იგი შექმნეს მექსიკის გეოგრაფიული პირობების, სიმაღლის, კლიმატის, სათამაშო მინდვრის ნიადაგის გათვალისწინებით. ამის შესატყვისად საგანგებოდ შეარჩიეს ტყავი, ახალი ბურთი „აცტეკა" გამოსცადეს მექსიკის სხვადასხვა ქალაქში, მისი წონა 420-450 გრამია, გარშემოწერილობა 69-69,5 სანტიმეტრი, ჰაერის წნევა — 0,9 1,0 ატმოსფერო.

„აცტეკა" მოხატულია მექსიკის ეროვნული ორნამენტით, ნახატის ავტორია მექსიკელი დიზაინერი ქალი რებეკა მარტინესი.

ცვლილებები იტალიის კლუბებში

იტალიის საკლუბო გუნდებში 1985-86 წლების საფეხბურთო სეზონის დაწყების წინ გაცხარებული „ვაჭრობა" მიმდინარეობდა. ამ ქვეყანაში მოქმედი კანონის თანახმად კლუბებს უფლება აქვთ თავიანთ რიგებში მხოლოდ ორი უცხოელი ფეხბურთელი იყოლიონ.

ზოგიერთი უცხოელი ფეხბურთელი სამშობლოში დაბრუნდა. იტალიის კლუბები დატოვეს: ბრაზილიელებმა — სოკრატესმა („ფიორენტინიდან" გადავიდა „ფლამენგოში"); ზიკომ („უდინეზედან" — „ფლამენგოში"); ფალკაომ („რომადან" — „სან პაულუში"); ქუარმა („კრემონეზედან" — პორტუგალიის „პორტუში"); შვედმა ლარსონმა („ატალანტადან" — „მალმიოში"); დასავლეთგერმანელმა ჰ. მიულერმა („კომოდან" — ავსტრიის „სვაროვსკი ვაკერში").

ზოგიერთმა უცხოელმა ფეხბურთელმა იტალიაშივე გამოიცვალა კლუბი. ესენი არიან: ჰოლანდიელი პეტერსი („გენუიდან" გადავიდა „ატალანტაში"); ბრაზილიელები — ბატისტა („ლაციოდან" — „აველინოში"); დირსეუ („ასკოლიდან" „კომოში"); პერუელი ბარბადილიო („აველინოდან" — „უდინეზეში"); დანიელი ლაუდრუპი („ლაციოდან" — „იუვენტუსში"); პოლონელი ბონეკი („იუვენტუსიდან" — „რომაში").

ვაჭრობაში თვით იტალიელი ფეხბურთელებიც მონაწილეობდნენ. „იუვენტუსმა" იყიდა: — სერენა („ტორინოსაგან"), მანფრედონია („ლაციოსაგან"), მაურო („უდინეზესგან"), პაჩონე („ატალანტასგან") „ინტერნაციონალემ" — ფანა („ელასისგან"), სელვაჯი („უდინეზესგან"), ტარდელი („იუვენტუსისგან"), ლ. მარანგონი („ელასისგან"). „ნაპოლიმ" — პეკი („ფიორენტინასგან"); ბურიანი („რომასგან"), გარელა („ელასისგან"), რენიკა („სამპდორიასგან"). „ფიორენტინამ" — ა. მალდერა („რომასგან"), ბატისტინი („მილანისაგან"), იორიო („რომასგან"). „რომამ" — გეროლინი („უდინეზესგან"). „სამპდორიამ" — მატეოლი („კომოსგან"), ლორენცო („კატანძაროსგან"). „ელასმა" — ვინიოლა („იუვენტუსისგან"). „ტორინომ" — საბატო („ინტერნაციონალესგან"), „უდინეზემ" — კიერიკო („რომასგან"), „მილანმა" — პ. როსი („იუვენტუსისგან"). „ლეჩემ" — კაუზიო („ინტერნაციონალესგან"), „კომომ" — ბორგონოვო („სამბენედეტესგან").

იტალიის პირველი ლიგის კლუბებში 1985-86 წლების სეზონში თამაშობენ შემდეგი უცხოელი ფეხბურთელები:



„აველინო" — ბატისტა (ბრაზილია), რამონ დიასი (არგენტინა) „ატალანტა" — იან პეტერსი (ჰოლანდია), გლენ სტრომბერგი (შვეცია). „ბარი" — გორდონ კოუნზი (ინგლისი), პოლ რაიდაუტი (ინგლისი). „ელასი" — ჰანს-პეტერ ბრიგელი (გფრ), პრებენ ელკიაერ-ლარსენი (დანია). „ინტერნაციონალე" — ლიამ ბრეიდი (ირლანდია), კარლ-ჰაინც რუმენიგე (გფრ). „იუვენტუსი" — მიქაელ ლაუდრუპი (დანია), მიშელ პლატინი (საფრანგეთი). „კომო" კორნელიუსონი (შვეცია), დირსეუ (ბრაზილია). „ლეჩე" — ხუან ბარბასი (არგენტინა), პასკული (არგენტინა). „მილანი" — რეი უილკინსი (ინგლისი), მარკ ჰეიტლი (ინგლისი). „ნაპოლი" — დიეგო მარადონა (არგენტინა), დანიელ ბერტონი (არგენტინა). „პიზა" — კლაუს ბერგრეენი (დანია), ვიმ კიფტი (ჰოლანდია). „რომა" — ზბიგნევ ბონეკი (პოლონეთი), ტონინიო სერეზო (ბრაზილია). „სამპდორია" — ტრევორ ფრენსისი (ინგლისი), გრემ სუნესი (შოტლანდია). „ტორინო" — ჟუნიორი (ბრაზილია), ვალტერ შახნერი (ავსტრია). „უდინეზე "— ჟერომინო ბარბადილიო (პერუ), ედინიო (ბრაზილია). „ფიორენტინა" — დანიელ პასარელა (არგენტინა).

დასახელებული 31 ფეხბურთელიდან 6 არგენტინელია, 5-5 — ბრაზილიელი და ინგლისელი, 3 — დანიელი, 2-2 — ჰოლანდიელი, შვედი, დასავლეთგერმანელი, თითო — ირლანდიელი, ფრანგი, პოლონელი, შოტლანდიელი, ავსტრიელი, პერუელი.

იტალიელები მეტ ყურადღებას აქცევენ წინა ხაზების მოთამაშეებს. დასახელებული 31 უცხოელი ფეხბურთელიდან 14 თავდამსხმელია, 13 — ნახევარმცველი, 4— მცველი. მათში არც ერთი მეკარე არ არის. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან იტალიელებს თვითონ ჰყავთ უმაღლესი კლასის მცველები და მეკარეები. ბუნებრივია ის ინტერესი, რასაც იტალიის ეროვნული ჩემპიონატის მიმართ იჩენენ ფეხბურთის მოყვარულები, რადგან ახლა ამ ქვეყნის კლუბებში მსოფლიო ფეხბურთის თითქმის ყველა ვარსკვლავი გამოდის.

რევაზ შენგელია.

თქვენი სვლაა

დავით გურგენიძე

საერთაშორისო ოსტატი
(საგარეჯოს რ-ნი, სოფ. ჩაილური)
1984 წ.



თეთრები ყაიმს აღწევენ

„ლელოს" 29 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ვ. კოსტიროვის ამოცანის ამოხსნაა: 1. ლh8 1. ...მფ:f1 2. ლh2; 1. ...მფe1 2 ლf4; 1. ...მფg2 2. მფe2.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

17 იანვარს 12 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლის სააქტო დარბაზში (ა. წერეთლის გამზ. № 95) გაიმართება **„კოლმეურნეს" რესპუბლიკური საბჭოს V პლენუმი.**

რესპუბლიკის საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტსაქონელმა" 1986 წლის პირველ იანვრიდან დაიწყო „ზაპოროჟეცის" და „მოსკვიჩის" მარკის ავტომანქანების (გარდა „მოსკვიჩ ლუქსის" და „ლუაზისა") განვადებით გაყიდვა.

ავტომანქანები შეგიძლიათ განვადებით შეისყიდოთ ავტოსაკომისიო მაღაზიებში. მისამართებ ქ. თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება; ქ. რუსთავი, თავისუფლების ქ. № 2; ქ. სოხუმი, გოგოლი ქ. № 31; ქ. ქუთაისი, გეორგიევსკის ქ. № 8; ქ. თელავი, ქუთაისის ქ. № 41.

რესპუბლიკური გაერთიანება „სპორტსაქონელის" დირექცია.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. იანვარი. დილის ტანვარჯიში **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში **9.40 (1)**; „სპორტლოტოს" ტირა **— 10.20 (1)**; სსრ კავშირის ჩემპი ონატი კალათბურთში: ცსკა „სტროიტელი" (კიევი) **—16.40** ვეფ-ი (რიგა) — „დინამო" (მო კოვი) — **21,15 (2)**; სსრ კავშირ ჩემპიონატი ფიგურულ სრიალ **— 22. 45 (1)**; სპორტი კვირის ნძილზე — **23.30 (1).**

საკავშირო რადიო. 5 იანვ სპორტული დღიური — **22.40.**

საქართველოს ტელევიზია. **იანვარი.** სსრ კავშირის კალათბ თელ ვაჟთა ჩემპიონატი: „დინა (თბილისი) — „სპარტაკი" (ლე ნგრადი) 4 იანვრის შეხვედრის დეოჩანაწერი — **21.25.**

საქართველოს რადიო. 5 ვარი. რადიოჟურნალი „ფიზკ ტურა და სპორტი" — **14.30;** კავშირის ჩემპიონატი კალათბ ში; „ჟალგირისი" (კაუნასი) „დინამო" (თბილისი) — **22.15.**

ჩოგბურთის ამბები

ფულადი ჯარიმების ლიმიტი ამოწურა

როგორც პროფესიონალ ჩოგბურთელთა კავშირის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, უძლიერეს მოთამაშეთა „რეიტინგ-ლისტი" ახლა ასეთია:

1. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 2. ჯონ მაკინროუ (აშშ), 3. მატს ვილანდერი (შვეცია), 4. ჯიმი კონორსი (აშშ). 5. სტეფან ედბერგი (შვეცია), 6. ბორის ბეკერი (გფრ) 7. იანიკ ნოა (საფრანგეთი) 8. ანდერს იარიდი (შვეცია), 9. კევინ კარენი (აშშ), 10. მილოსლავ მეჩირი (ჩეხოსლოვაკია).

ამავე ცნობაში ნათქვამია, რომ ექვსკვირიანი დისკვალიფიკაცია მიეცა ჯონ მაკინროუს. მან ამოწურა ფულადი ჯარიმების ლიმიტი, რომელიც 7500 დოლარს შეადგენს. ეს მოხდა ავსტრალიაში, როცა ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატზე იგი სამგზის დააჯარიმეს: 1500 დოლარით — მსაჯებთან გაუთავებელი კამათისათვის, 1250 დოლარით მეტოქეთა მიმართ არაკორექტული საქციელისთვის და მაყურებლების უპატივცემულობისათვის, 1000 დოლარით — ქივოინოვიჩთან (იუგოსლავია) დამარცხების შემდეგ პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობისათვის.

ქალთა „რეიტინგ-ლისტში" პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ამერიკელები მარტინა ნავრატილოვა და კრის ევერტ-ლოიდი (2550 ქულა თითოეულს), რომლებიც მთელი 820 ქულით უსწრებენ კლაუდია კოდე-კილშს (გფრ).

მხოლოდ ბეკერი?

ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი როდ ლეივერი დღემდე უკანასკნელი სპორტსმენია, რომელმაც შეძლო „დიდი მუზარადის" მოპოვება. ეს ჯილდო გადაეცემა ჩოგბურთელს, რომელიც შეძლებს ერთი სეზონის მანძილზე მოიგოს ოთხი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ტურნირი — საფრანგეთის, აშშ-ისა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატები და უიმბლდონის ტურნირი. ეს ჯილდო ლეივერმა 1962 და 1969 წლებში მოიპოვა.

ამას წინათ ნიუ-დელიში (ინდოეთი) გამართულ პრესკონფერენციაზე ლეივერმა დაახასიათა თანამედროვეობის უძლიერესი ჩოგბურთელები, მან სხვათა შორის თქვა, რომ მაკინროუმ მიაღწია თავის „პერს" და ახლა დაცემის პერიოდი დაეწყოო.

„ჩემს შედეგს თუ ვინმე გაიმეორებს და „დიდ მუზარადს" მოიპოვებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ბეკერი იქნება", — განაცხადა ლეივერმა.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 072